

ნაშრომი წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



სტუდენტი - ნინო კობახიძე

თემის დასახელება - **ტერორიზმის ხასიათი და სახელმწიფოთა თანამშრომლობა**

ხელმძღვანელი - **თამარ ლალიაშვილი, პროფესორი**

აბსტრაქტი

ნაშრომი, ტერორიზმის ხასიათი და სახელმწიფოთა თანამშრომლობა, შედგება შესავალის, ორი თავის, თორმეტი ქვეთავის და დასკვნისაგან.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ტერორიზმის კონცეფციის ფორმირება და დეფინიცია, ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია, ტერორიზმი სოციალურ კონფლიქტთა სპექტრში, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო, ასევე ინსტიტუციური მექანიზმები.

აღნიშნულია, რომ ტერორიზმის კლასიფიკაცია ემყარება ამა თუ იმ ასპექტის ამსახველ სხვადასხვა კრიტერიუმებს. ამის გათვალისწინებით კი მისი მრავალრიცხოვანი ჯგუფი შეიძლება არსებობდეს ვ.ვ. უსტინოვის მიიჩნევს, რომ კლასიფიკაციის სიმრავლე იწვევს იმ ფაქტს, რომ ხშირად შეუდარებელი ცნებები ერთ რიგში ერთნაირი მნიშვნელობით შეიძლება მოიაზრებოდეს, მართალია ტერორიზმის ბუნების მრავალფეროვნების გამო, მისი მრავალრიცხოვანი გამოყოფა შესაძლებელია.

ნაშრომის მეორე თავში, საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ განხილულია საერთაშორისო თანამშრომლობა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებში: ანტიტერორიზმი - კონტექსტი და მიმოხილვა, საქართველოს მონაწილეობა ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლაში, ინსტიტუციური ზედამხედველობის, ანგარიშვალდებულებისა და სტრატეგიის გადახედვის მექანიზმები საქართველოში, სისხლის სამართლის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმები, ექსტრადაცია, საერთაშორისო თანამშრომლობა.

ტრანსნაციონალური ხასიათის გამო, ტერორიზმი, ისევე როგორც ყველა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, სერიოზულ პრობლემებს უქმნის ეროვნული მართლმსაჯულების სისტემებს. ეროვნული სასამართლოები განიხილავენ დამნაშავეებს, ვინაიდან არ არსებობს საერთაშორისო სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ტერორიზმის საქმეები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოცემულია ისეთი ელემენტები, რომლებიც წარმოადგენს დანაშაულებს, რომელთა კომპეტენციაა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო განეკუთვნება.

ნაშრომი სრულდება დასკვნით.

Abstract

The paper, *The Nature of Terrorism and the Cooperation of States*, consists of an introduction, two chapters, twelve subsections, and a conclusion. The first chapter of the paper discusses the formation and definition of the concept of terrorism, the criminological classification of terrorism, terrorism in the spectrum of social conflicts, the legislative and institutional framework, as well as institutional mechanisms.

It is noted that the classification of terrorism is based on various criteria reflecting this or that aspect. Given this, its numerous group may exist in V.V. Ustinov believes that the multiplicity of classifications leads to the fact that often incomparable concepts can be thought of in the same sense with the same meaning, although due to the diversity of the nature of terrorism, its multiple separations are possible.

The second chapter of the paper discusses international cooperation against terrorism. International cooperation in the fight against international terrorism. Forms, extradition, international cooperation.

Because of their transnational nature, terrorism, like all transnational organized crime, poses serious problems for national justice systems. National courts try criminals, as there is no international tribunal that has jurisdiction over terrorism cases, unless there are elements that constitute crimes that fall within the jurisdiction of the International Criminal Court.

The paper concludes.

სარჩვი

| | |
|--|----|
| შესავალ..... | 6 |
| თავი 1. ტერორიზმის არსი | 9 |
| 1.1 ტერორიზმის კონცეფციის ფორმირება და დეფინიცია..... | 9 |
| 1.2 ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია | 12 |
| 1.3 ტერორიზმი სოციალურკონფლიქტის სპექტრში | 16 |
| 1.4 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო | 21 |
| 1.5 ინსტიტუციური მექანიზმები | 24 |
| თავი 2. საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ | 27 |
| 2.1. საერთაშორისო თანამშრომლობა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში..... | 27 |
| 2.2 საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებში: ანტიტერორიზმი - კონტექსტი და მიმოხილვა..... | 31 |
| 2.3 საქართველოს მონაწილეობა ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლაში | 33 |
| 2.4 ინსტიტუციური ზედამხედველობის, ანგარიშვალდებულებისა და სტრატეგიის გადახედვის მექანიზმები საქართველოში | 37 |
| 2.5 სისხლის სამართლის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმები | 39 |
| 2.6 ექსტრადაცია | 42 |
| 2.7 საერთაშორისო თანამშრომლობა | 45 |
| დასკვნა | 49 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 50 |

შესავალი

კვლევის აქტუალობა: ტერორიზმის შესწავლა ტიქმის ყველა დროში აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა, მაგრამ განსაკუთრებული მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიძინა, რაც აქტუალობას არ კარგავს თანამედროვე პირობებშიც. ტერორიზმის წარმოადგენს პოლიტიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და სამართლებრივი პრობლემა, რადგან ტერორიზმი ბუნება სისხლის სამართლებრივ დანაშაულს განეკუთვნება. ტერორიზმი ხშირ შემთხვევაში ისეთ მოვლენებთან ერთად თანაარსებობს, როგორიც არის რელიგიური ფანატიზმი, ეთნიკური სეპარატიზმი, ექსტრემისტი მემარცხენე ან მემარჯვენე პოლიტიკური მოძრაობები.

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებზე ტერორისტულმა თავდასხმამ ტერორისტული ორგანიზაციები და მათთან ბრძოლა განსაკუთრებულ ხარისხში აიყვანა, რადგან ამით არსებითად შეილახა ამერიკის შეერთებული შტატების იმიჯი საერთაშორისო დონეზე, რაც ზემოაღნიშნულმა ტერორისტულმა თავდასხმამ განაპირობა.

ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენს გლობალურ მოვლენას, რომელიც სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს კომპეტენციას, რადგან საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციათა სამიზნეს ცალკეული სახელმწიფოები არ წარმოადგენენ, მათი მიზანია საერთაშორისო მშვიდობის ხელყოფა, დესტრუქციისა

და ანარქიის დანერგვა, რაც ტერორისტული ორგანიზაციების მნიშვნელოვან ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს.

ტერორიზმი, როგორც ინსტრუმენტი ფართო მასებზე ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენს, რაც გავლენას ახდენს ადამიანის ნებაზე, ფსიქოემოციურ სტაბილურობაზე, ასევე ეკონომიკურ მდგრადობასა და პოლიტიკურ წესრიგზე. თანამედროვე ტექნოლოგიურმა განვითარებამ ნებისმიერი ქვეყანა მაღალი რისკის ქვეშ დააყენა ტერორისტული აქტის განხორციელების და ქვეყნის როგორც მსხვერპლის როლში წარმოჩენის თვალსაზრისით, რასაც ხელს არ უშლის გეოგრაფიული მდებარეობა თუ მოსახლეობის ოდენობა. სახელმწიფოთა თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში შემოიფარგლება საჭირო, საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტის უსაფრთხოების კუთხით, ასევე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება კიბერ ტერორიზმის ირგვლივ, როგორც უახლესი და ყველაზე მზარდი ტერორისტული დანაშაულის ფორმა. აღნიშნული მიმართულებები სახელმწიფოებს მჭიდრო და კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ უბიძგებს. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს როლი ტერორიზმის საერთაშორისო ასპექტში თანამშრომლობის კუთხით. ამ მხრივ, საქართველო სრულად არის ჩართული ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის ასპექტში. 1963 წლიდან საერთაშორისო საზოგადოებამ შეიმუშავა 19 საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი ტერორისტული აქტების თავიდან ასაცილებლად. ეს ინსტრუმენტები შეიმუშავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) ეგიდით და მონაწილეობა შეუძლიათ ყველა წევრი სახელმწიფოს. (un.org, 2020).

აღნიშნული ნაშრომი აქტუალურია, რომლის შესწავლა თანამედროვე ტერორისტული გამოწვევებიდან და საფრთხეებიდან გამომდინარეობს და მათზე

სახელმწიფოთა ერთობლივი მოქმედებით, რაც კვლევის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

კვლევის მიზანი: შესწავლილ იქნეს ტერორიზმის ხასიათი და სახელმწიფოთა თანამშრომლობა

კვლევის ამოცანები:

- დადგინდეს, ტერორიზმის არსი და კლასიფიკაცია, როგორც განმსაზღვრელი ფაქტორი ტერორიზმის ხასიათის;
- დადგინდეს, სახელმწიფოთა თანამშრომლობის გზები და მეთოდები ტერორიზმთან ბრძოლაში;

კვლევის მეთოდები: კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები, ასევე დამუშავდა სამეცნიერო დისერტაციები, საერთაშორისო კონვენციები და ადგილობრივი კანონმდებლობა. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ისტორიული კვლევის მეთოდები, სამაგიდო კვლევის მეთოდები, მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების მეთოდი, რამაც საშუალება მოგვცა გავვეკეთებინა ჯეროვანი დასკვნები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

თავი 1. ტერორიზმის არსი

1.1 ტერორიზმის კონცეფციის ფორმირება და დეფინიცია

ტერორიზმთან ბრძოლა უძველესი დროიდან თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. დღესაც 21-ე საუკუნეში, მსოფლიო მრავალი ტერიტორიული ფაქტის წინაშე დგას, მისი ცვალებადი ხასიათი და არაპროგნოზირებადობა კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე აყენებს საზოგადოებას. გლობალიზაციის მხრივ მიმდინარე პროცესები ხელს უწყობს ამ მოვლენების განვითარებას, რადგან ტექნოლოგიური აღმავლობის შედეგად შესაძლებელი ხდება ტერორიზმის უფრო გააქტიურება. მიუხედავად იმისა რომ ტერორიზმი გლობალური საფრთხის გამომწვევია, რომლისთვისაც მიუღებელია ნებისმიერი სახელმწიფოს სამართლებრივი ჩარჩო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური წყობა, დღემდე გაურკვეველია მისი კონცეფციის საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობა.

ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს სახელმწიფოთა სხვადასხვა ინტერესები მაგ: საზოგადოების გარკვეული ფენისთვის ტერორიზმი შესაძლოა იყოს ბრძოლა, მათი ეროვნული თავისუფლებისთვის, ზოგიერთისთვის კი იდეოლოგიური

ბრძოლა ღირებულებების დასაცავად. გაეროში ტერორიზმის პრობლემების კვლევის სპეციალური საერთაშორისო კომიტეტი არსებობს, საინტერესოა ის ფაქტი რომ კომიტეტის წევრები ტერორიზმის გამომწვევ ძირითად მიზეზად ასახელებენ, რასიზმს, აგრესიულ პოლიტიკასა და ნეო-კოლონიალიზმს.

საგულისხმოა ის ფაქტი რომ აღნიშნული მიზეზების საზოგადოებისთვის გაზიარება ხელს უწყობს ტერორისულ პროპაგანდას და ამართლებს მას. საგულისხმოა კომიტეტის შემდეგი ქმედებები, გაეროს უშიშროების საბჭოს 1269-ე რეზოლუციაში, ტერორიზმის გამოვლინების ყოველგვარი ფაქტი დანაშაულად არის აღიარებული. პრობლემა გაცილებით მაშტაბური იმ მხრივაც არის რომ, შესაძლოა ერთი კონკრეტული სახელმწიფოს ინსტიტუტებიც კი სხვადასხვა მნიშვნელობით ხსნიდნენ ტერორიზმს დეფინიციას. ამის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1985 წელს სენატის მიერ გაცემული მითითება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო დაწესებულებებს დაევალოთ განესაზღვრათ ტერორიზმის მნიშვნელობა, საბოლოო ჯამში მიღებული სურათი კი მოულოდნელი აღმოჩნდა. ყველა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული კონსტიტუცია ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავებული იყო (გორაშვილი, 2011) ის რომ საყოველთაოდ არ არის აღიარებული ტერორიზმის დეფინიცია სახელმწიფოებს პრობლემას უქმნის როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე, რათა განახორციელონ კონკრეტული ქმედებები ტერორიზმის წინააღმდეგ. აღსანიშნავია რომ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ არაერთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, თუმცა დეფინიციის მნიშვნელობას ვერსად წაიკითხავთ.

საყურადღებოა სრულიად უდანაშაულო მოქალაქეების უფლებები, ტერორიზმი ხშირ შემთხვევაში მიმართულია იმ მოქალაქეების წინააღმდეგაც, რომლებსაც ტერიტორიების რელიგიურ ფანატიზმთან თუ პოლიტიკურ პოზიციასთან

საერთო არაფერი აქვთ. ტერორიზმის მრავალი ფორმა არსებობს, ასეთივე მრავალარიცხოვანია ტერორისტული დაჯგუფებების მეთოდები, მიუხედავად იმისა რომ საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს დასავლური ქვეყნები სარგებლობენ ზოგადი განმარტებით მაგ: გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ტერორიზმს მოიხსენიებს სასტიკ, უკანანო არადისკიმინაციულ ფორმად, რომელიც მიმართულია მოქალაქეებისა და მათი საკუთრების წინააღმდეგ, ასევე მთავრობების დასაშინებლად და ქმედებები განპირობებულია სოციალური და პოლიტიკური მიზნებით. (რატომ არ კვდება ტერორიზმი, 2020) ტერმინი „ტერორი“ და მისგან წარმოშობილი ტერორიზმი, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის (1789-1794), დროს გამოვლინდა (ძალისხმევის გამოყენებით) დასახული შედეგის მიღწევის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად. ტერორიზმის სფეროს მკვლევარებისათვის აღნიშნული პერიოდი მრავალი საინტერესო ფაქტის ამსახველია. სწორედ იმ დროინდელმა საფრანგეთის რევოლუციურმა მთავრობამ 1793 წლის 5 სექტემბერს „ტერორი“ ყველასთვის მისაღებ, დღის წესრიგად მიიჩნია (Reign of Terror, 2015), ყოველივე ამას პარიზში მრავალარიცხოვანი სიკვდილით დასჯის ტალღა მოჰყვა. პროვინციებში დაანესეს ადგილობრივი ტერორი, რომელსაც ჰქონდა მაქსიმალური ეკონომიკური მხარე, ფასის კონტროლის ღონისძიება ასევე რელიგიური დატვირთვაც, რომელიც განასახიერეს შუა ჰებერტის მიმდევრებმა. (Reign of Terror, 2015).

ტერორის როგორც სისტემატიური ძალადობის გამოყენების იდეა ეკუთვნის საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთ ლიდერს, მაქსიმილიან რობესპიერს, რომელსაც მიაჩნდა ტერორი სხვა არაფერია გარდა სამართლიანობისა და თვლიდა რომ რევოლუციის დროს მმართველობის ფუნდამენტური საფუძველი კეთილგონიერებასთან ერთად აუცილებლად უნდა იყოს ტერორიც, ვინაიდან მის გარეშე კეთილგონიერებას ძალა არ აქვს. XIX

საუკუნის მორე ნახევარი რევოლუციური ორგანიზაციების მხრიდან, პოლიტიკური მკვლევლობების სერიის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი პერიოდია რასაც სახელმწიფოების მხრიან კიდევ უფრო მკაცრი ფორმის რეპრესიები მოყვა.

იმ დროს ტერორიზმი განიხილებოდა პოლიტიკური ორთაბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ტერორიზმს როგორც ძალადობის ფორმას გაცილებით დიდი ისტორია აქვს და ის ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ასწლეულში იღებს სათავეს, მაშინ როცა ებრაელ ზელოტების სექტა „სიკარიები“ (გალილიელი იუდეველები) იბრძოდნენ რომანელების წინააღმდეგ, რომლებიც უდანაშაულო მოქალაქეებსაც ესხმოდნენ თავს „სიკარიები“ იყვნენ პირველები ვინც დასახული პოლიტიკური მიზნებისა და ინტერესის მისაღწევად „ტერორი“ გამოიყენეს. მათ შემდეგ კი ტერორისტულ ქმედებებს შუა საუკუნეებში „ჰაშიშინები“ იგივე ასასინები ახორციელებდნენ, რომლებსაც რელიგიური მოტივი ამოძრავებდათ, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ ისინი თავგანწირვით გამოირჩეოდნენ და მრავალ მკვლევლობას ჩადიდნენ. სწორედ ამ უკანასკნელმა ჰპოვა გამოვლინება ზოგიერთი ქვეყნის სასაუბრო ენებზე და დღესდღეობით „ასასინი“ განიმარტება როგორც „მკვლელი“ (Abdulrahman, 2016).

1.2 ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია

ტერორიზმი სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული ფორმით გვევლინება განსხვავებული მოტივით მებრძოლი დანაშაულებრივი დაჯგუფებების

მიერ იმისათვის რომ უკეთ იყოს გაანალიზებული მისი ბუნება უმჯობესია კლასიფიკაციის ტიპებად განისაზღვროს. ტერორიზმის ფორმებად დაყოფა (როგორც ნებისმიერი სხვა კლასიფიკაციის) გარკვეულწილად პირობითია, მაგრამ ტერორიზმის გარკვეული ფორმების სპეციფიკური მახასიათებლების დადგენა აუცილებელია ამ მიმართულებით კანონმდებლობისა და სამართალდამცავი საქმიანობის უფრო მეტი ყურადღების გამახვილებისა და სისტემატიზაციისთვის. ტერორისტული საქმიანობის ფორმების შესაბამისად ყალიბდება ტერორისტული აქტებიც - სხვადასხვა ობიექტებზე ძალადობრივი ზემოქმედების ფორმები.

კონკრეტული ტერორისტული ჯგუფის დანიშნულება პირდაპირ ასახავს ტერორიზმის არსს და წარმოადგენს მისი მთავარი ამოცანების განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს. ჯგუფის მიზანი შესაძლოა იყოს სახელმწიფო მოღვაწეთა და საზოგადო მოღვაწეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა; მოსახლეობის ტერორი ,უამრავი ადამიანის სიკვდილი და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი; თავდასხმა სახელმწიფო ხელისუფლების ობიექტებზე, ადმინისტრაციაზე, უსაფრთხოებაზე და ა.შ., რამაც შეიძლება გამოიწვიოს შიდა პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია, გარკვეულ რეგიონებში სახელმწიფო ადმინისტრაციის დემორგან იზაცია და ა.შ. საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტების მიხედვით ძირითადად გამოტოვენ ტერორიზმის შემდეგი ფორმებს: პოლიტიკური, კრიმინალური, ნაციონალისტური, საჰაერო, საერთაშორისო, იდეოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური, ინდივიდუალური, სახელმწიფო, ნაციონალისტური, სამხედრო, კრიმინალური, იდეალისტური, ტერორიზმი აჯანყების სახით (ტერიტორიის წართმევა), მასობრივი არეულობები, დივერსიები, მძევლების აყვანა და ა.შ. თანამედროვე რეალობაში ტერორიზმის კონკრეტული ფორმები გვხვდება როგორც "სუფთა", ისე "შერეულ" ფორმებში. (Schinkel, 2009).

სასურველია უფრო დეტალურად ტერორიზმის ის ფორმები იყოს განხილული, რომლებიც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. სახელმწიფო

მეცნიერები, პოლიტოლოგები, ისტორიკოსები, იურისტები ახდენენ ტერორიზმის სისტემატიზაციას და კლასიფიკაციას სხვადასხვა სექციებში, გვთავაზობენ სპეციალურ კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, რაც ბუნებრივია ასახავს ამ ფენომენის სირთულეს. მიდგომის ყველა მრავალფეროვნებით და ზოგჯერ შეუსაბამობით, პრობლემის ასეთი მრავალგანზომილებიანი შესწავლა საშუალებას აძლევს, სამართალმცოდნეებს, ყველაზე დიდი ვალიდობით, დაადგინონ ტერორიზმის სოციალური საფრთხე და მისი ნიშნები, რომლებიც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის თვალსაზრისით.

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ტექნოლოგიურ ტერორიზმს, რაც იგულისხმება როგორც ბირთვული, ქიმიური იარაღის ან მათი კომპონენტების, რადიოაქტიური, ძლიერ ტოქსიკური ქიმიკატების, უკანონო გამოყენება. ტერორზე საუბრისას, ზამკოვა ვ. და ილჩიკოვი მ. განასხვავებენ მის დანყვილებულ ვარიანტებს: დივერსიულს და რეპრესიულს, რევოლუციურს და კონტრრევოლუციურს, შერჩევითსა და ბრმას. გ.მ. მინკოვსკის და რევინი ვ.პ კი კლასიფიკაციის საფუძვლად უცხოურ ნორმატიული აქტებს იშველიებენ და მართებულად მიაჩნიათ ტერორიზმის დაყოფა სახელმწიფო ტერორიზმად (ორგანიზებული ან მხარდაჭერილი ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა), საერთაშორისო, სისტემური საშინაო, სხვა საშინაო, რელიგიური და წერტილოვანი ტერორიზმი. (Миньковский & Ревин, 1997).

ტერორიზმის კლასიფიკაცია ემყარება ამა თუ იმ ასპექტის ამსახველ სხვადასხვა კრიტერიუმებს. ამის გათვალისწინებით კი მისი მრავალრიცხოვანი ჯგუფი შეიძლება არსებობდეს ვ.ვ. უსტინოვის მიიჩნევს, რომ კლასიფიკაციის სიმრავლე იწვევს იმ ფაქტს, რომ ხშირად შეუდარებელი ცნებები ერთ რიგში ერთნაირი მნიშვნელობით შეიძლება მოიაზრებოდეს, მართალია ტერორიზმის ბუნების მრავალფეროვნების გამო, მისი მრავალრიცხოვანი გამოყოფა შესაძლებელია. (Миньковский & Ревин, 1997).

თუმცა, ეს სიმრავლე არ ასახავს ტერორიზმის სპეციფიკურ მახასიათებლებს, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ ფენომენს ან მხოლოდ მის თანდაყოლილ კრიმინოლოგიური ნიშნებს, მაგრამ მრავალი სხვა ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებები. საზოგადოებრივი ცხოვრების ფენომენი.

მათ თითქმის არაფერი მოუტანს ტერორიზმის არსის გაგებას და მასთან გამკლავების მეთოდების სპეციფიკას. ასევე მიაჩნია რომ ტერორიზმის სოციალურ-პოლიტიკური კომპონენტის განხილვა არ არის ეფექტური კლასიფიკაციისთვის. ადამიანის უფლებების ამერიკულ კონფერენციაზე (1970), რომელის გამართვის ძირითადი მიზანი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მოსახლეობის უსაფრთხოება იყო: დასახელდა ტერორიზმის სამი ფორმა: სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური. (Михеев, 1993).

ტერორიზმი არ შეიძლება მოიაზრებოდეს ძირითადი დამახასიათებელი სპეციფიკისა და კონკრეტული მოტივაციისა გარეშე. თუმცა გარკვეული ნიშნები შეიძლება ახასიათებდეს ტერორიზმის ამა თუ იმ სუბიექტს. მაგ:რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილ ტერორიტულ გაერთიანებამ შესაძლოა გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები,ქიმიური თუ ბირთვული იარაღი. სამოქმედო არიალიც განსაზღვრება ძირითადი მოტივის მიხედვით და შეიძლება იყოს როგორც ქვეყნის შიგნითა ასევე მის ფარგლებ გარეთ.ტერორისტული აქტის განმახორციელებელი პირები წარმოადგენენ ტერორიზმის სუბიექტს. ტერორიზმის ფორმების არსებული სისტემა ასახავს მის როულ შინაარსს, რის გამოც იგი თავად არის დინამიური ხასიათის მატარებელი რომელიც დასტურიათანამედროვე ტერორიზმის დესტრუქციულ შესაძლებლობების და ასახას მის სოციალურ საშიშროებას.

1.3. ტერორიზმი სოციალურ კონფლიქტთა სპექტრში

გამომწვევი მიზეზები მსოფლიოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუდმივი ყურადღების ეპიცენტრს წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემა ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ზომების განსაზღვრისა და გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევაა. ტერორიზმის წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების ეფექტურობა და მათი შემდგომი გაუმჯობესება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზუსტად განალიზდა და დადგინდა ამ განსაკუთრებით საშიში დანაშაულის მიზეზები.

კრიმინოლოგიაში დანაშაულის მიზეზებისა და პირობების კრიმინოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლების საკმარისად შერჩევით გამოიყოფა ის ფაქტორები, რომლებიც ტერორიზმს ახასიათებს შინაარსობრივი თვალსაზრისით ან სოციალური ცხოვრების სფეროებიდან. როგორც წესი, ეს მოიცავს: იურიდიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და მენეჯერულ, საგანმანათლებლო, იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა მიზეზებსა და პირობებს ან პროცესებსა და მოვლენებს, რომლებიც დანაშაულს იწვევს ცხოვრების ამ სფეროებში. ტერორიზმი უნდა განვასხვავოთ ომისგან და სხვადასხვა სოციალური მოვლენებისგან. აღნიშნული მოვლენები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ობიექტური ასევე სუბიექტური მახასიათებლებითაც. ნებისმიერი დაჯგუფების ტერორიზმზე გადასვლა იშვიათად ხდება მხოლოდ იდეოლოგიური მიზეზების გამო, ისევე როგორც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ევროპასა და ლათინურ ამერიკაში ყველა სახის მემარცხენე ჯგუფების შემთხვევაში. (Argo, 2006).

თანამედროვე მსოფლიოში ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ფაქტორები სულ უფრო წინა პლანზეა ტერორისტულ საქმიანობის გავრცელების

მოტივით. ეთნიკური უმცირესობების და მორწმუნეთა უფლებების შელახვა ხდება მათი რადიკალური წარმომადგენლების მხრიდან საპასუხო ძალადობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც თანამედროვე ტერორიზმის ყველაზე დესტრუქციულ ფორმებს იღებს. საყოველთაოდ აღიარებული ექსპერტების აზრით, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ძალიან დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ტერორისტულ აქტებში მონაწილეობაში. აღსანიშნავია ფსიქოლოგიური და იდეური მოტივები. (Argo, 2006).

ის ადამიანები ვინც ტერორიზმში მონაწილეობას ფსიქოლოგიური მოტივით იღებენ როგორც წესი სიძლიერი და შურისძების წყურვილი ამოძრავებთ, ასევე შეპყრობილნი არიან ძალაუფლების ძლიერი სურვილით. აღნიშნული მიზეზი ყველაზე გავრცელებადია საზოგადოებაში. რაც შეეხება იდეოლოგიას, ამაში მოიაზრება ის ღირებულებები და პრინციპები რომლებიც უმთავრესია ტერორისტული ჯგუფისთვის. სადაც შესაძლოა ვიგულისხმოთ როგორც რელიგიური ფანატიზმი ასევე ის პოლიტიკური მიზნები, რომელთა შესრულებასაც ემსახურება ტერორისტული დაჯგუფება.

იდეოლოგიით შეპყრობილი ტერორიზმის წარმომადგენლებისთვის ღირებულებები უმთავრესია, სწორედ ამიტომ ძალადობას აღიქვამენ მორალურ გამართლებად რომლებიც საკუთარი რწმენის დაცვას ემსახურება, უმეტესად კი მათ ინტერესებს უდანაშაულო მოქალაქეები ეწირებიან. ფსიქოლოგიური ფაქტორთან ერთად ტერორისტულ ჯგუფებში ბევრია ისეთი ინდივიდები, რომლებიც იდეური რწმენისთვის იბრძვის. მსოფლიოში ტერორიზმის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითი არის რწმენა, რომ უმეტესად ტერორისტები ხდებიან მხოლოდ ღარიბი ადამიანები. ამის საფუძველზე კი დაასკვნეს, რომ შეუძლებელია ტერორიზმის დამარცხება, სანამ მსოფლიოში იარსებობს სიღარიბე და უმუშევრობა. სწორედ ამიტომ, ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ იმ ქვეყნებს რომელთა ერთ

სულ მოსახლეზე შემოსავალი სიღარიბის ღონის ქვემოთაა, სადაც ადამიანები განიცდიან არასაკმარის კვებასა და შიმშილს. (Tilly, 2005).

ამ მიდგომის მომხრეთა აზრით, განვითარებულმა ქვეყნებმა თავიანთი სიმდიდრე უნდა გაიზიარონ ღარიბ ქვეყნებთან, დაეხმარონ საკმარისი საკვებით და სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებით. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის აცილება. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სიღარიბე და სოციალური სიღუბე ტერორიზმის ერთ-ერთი მიზეზია. იმისთვის, რომ ადამიანი გახდეს ტერორისტი, საჭიროა დაარწმუნდეს ის, რომ ეს ბრძოლა ხელს შეუწყობს მისი პირადი პრობლემების მოგვარებას, ანუ საჭიროა შეიარაღება იდეებით, რომლებიც ამართლებს ძალადობის გამოყენებას. გარდა ამისა, აუცილებელია მისი ფინანსური სტიმულირება, მისი ოჯახის წევრების სოციალური დახმარების პერსპექტივის ჩვენება ტერორისტის გარდაცვალების, დაპატიმრების ან დაზიანების შემთხვევაში. (Schinkel, 2009).

აღნიშნულ ფაქტებსახორციელებენ ტერორისტული ჯგუფები, მაგრამ ისინი ყოველთვის არ აღწევენ დიდ წარმატებას ამ სფეროში. დღეისათვის სიღარიბის, სასონარკვეთისა და ბედის შეცვლის სურვილს მცირე გავლენა აქვს. მითი იმის შესახებ, რომ ღარიბი ადამიანები ტერორისტები ხდებიან, წარმოშობს კიდევ ერთ ძალიან გავრცელებულ მითს, რომ ყველა ტერორისტი ღარიბი ხალხია.

თუმცა, სინამდვილეში, ყველაფერი საკმაოდ განსხვავებულია. ექსპერტთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი ტერორისტული საქმიანობის მთავარი მოტივია. მათ მიაჩნიათ, რომ ტერორიზმი არა იმდენად რეაქციაა ეკონომიკურ უმწეობაზე, რამდენადაც არსებულ სისტემასთან პოლიტიკური უთანხმოების ძალადობრივი გამოხატვა, საზოგადოების ზედა და საშუალო ფენებიდან გამომდინარეობს. (Schinkel, 2009).

ტერორიზმის გავრცელების ხელშემწყობი პირობების ძალზე მნიშვნელოვანი ჯგუფი იქმნება კულტურული და საგანმანათლებლო სფეროში დაფიქსირებული მრავალი პროცესისა და ფენომენის შედეგად, ძირითადად შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ სახელმწიფოს როლი, მკვეთრი შესუსტება კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში.

იმ შემთხვევაში როცა კონკრეტული სახელმწიფოს საზოგადოების ჰუმანური და სოციალურად ორიენტირებული ღირებულებების ინტენსიური ჩანაცვლება ხდება უცხო კულტურის იდეებით და სულიერების ნაკლებობით ამ ტიპის გარემოებებს წარმოშობს: აღზრდისა და განათლების სხვადასხვა დონეზე პრაქტიკული არარსებობა, უკიდურესი სოციალური დაძაბულობა, ქვეყანაში ფორმირების ნაკლებობა, ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპებისა და ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის ანტიტეროსისტული, ანტიტერემისტული ცნობიერების აღზრდის დიფერენცირებული მეთოდების, აგრეთვე ანტიტერორისტული ცოდნის გავრცელების სისტემის სხვადასხვა ფენაში და ჯგუფებში და სხვ. (Reign of Terror, 2015).

თუმცა აღსანიშნავია ისიც რომ ის ადამიანები ვინც ტერორისტული დაჯგუფების წევრები არიან და საშუალებაც აქვთ რომ ხარისხიან განათლებას დაეუფლონ, მიღებულ განათლებას სწორედ რომ აღნიშნული საქმიანობისთვის იყენებენ. ტერორისტული აქტების დაგეგმვა, მომზადება და ორგანიზება მოითხოვს სპეციალურ მომზადებას, ოპერატიულობას, კომპლექსური ინფორმაციის ათვისებას, რაც შეუძლებელია საბაზო განათლების გარეშე. ამის ნათელი მაგალითია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები ნიუ-იორკში და ვაშინგტონში, რომლებიც განხორციელდა თანამედროვე საავიაციო ტექნოლოგიის გამოყენებით. 19 ტერორისტიდან 15 რომლებიც მონაწილეობდნენ ამ აქციებში, მდიდარი ოჯახებიდან იყვნენ. აღ ქაიდას მანიფესტი "მსოფლიო ისლამური ფრონტის დეკლარაცია„

(Lewis, 1998), მიღებული იქნა 1998 წელს, რომელიც არ შეიცავს პირდაპირ ბრალდებებს სილარიბესთან დაკავშირებით.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ღარიბი ადამიანები, განათლების გარეშე, რომელთაც სურთ მხოლოდ ერთი რამ - კარგი ფულის გამომუშავება, არ მოდიან ტერორისტულ ორგანიზაციაში. უმეტეს შემთხვევაში მათ ენიჭებათ მკვლევლობების, აფეთქებების, მძევლების აყვანის და ა.შ. მათ შორის ირჩევიან თვითმკვლევები, რომლებიც იღუპებიან და ათობით და ზოგჯერ ასობით ადამიანის სიცოცხლეს იღებენ. ესენი არიან ე.წ. "ქვეითები". მაგრამ ისინი არ განსაზღვრავენ ტერორისტული ორგანიზაციის სახეს, ისინი არ ადგენენ მიზნებს და არ ირჩევენ მათკენ მიმავალ გზებს.

ყველა ამ ამოცანას ორგანიზაციის მმართველი სუბიექტი ადგენს, რომლისთვისაც უფრო მნიშვნელოვანი მიზნებია, ვიდრე სილარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა თანამედროვე ტერორიზმის არსის გასაგებად, ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი მითების მოშორება. ეს საშუალებას მოგვცემს ფოკუსირება გავაკეთოთ რეალურ და არა გამოგონილი პრობლემების შესწავლაზე, არამედ განვსაზღვროთ თანამედროვე ტერორიზმის ძირეული სისტემა და მოვიძიოთ ადეკვატური საშუალებები ამ საფრთხის წინააღმდეგ.

ტერორისტული სტრუქტურების ინფორმაციისა და პროპაგანდისტული საქმიანობის მრავალფეროვნება, მისი სხვადასხვა პირობებში ქცევის შესაძლებლობა, საჭიროებს ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის აქტიურ საორგანიზაციო საქმიანობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს საფრთხის საწინააღმდეგო ღონისძიებები, რომელსაც, უნდა დაერთოს ტერორიზმის იდეოლოგიის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაც, (Lewis, 1998), სამოქალაქო საზოგადოების უფრო სისტემური მონაწილეობა მასში არსებული ინსტიტუციები და

მოსახლეობის ფართო მხარდაჭერა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტერორიზმის შინაარსისა და ფორმების ზოგადი ევოლუცია, მისი ამჟამინდელი მდგომარეობა განსაზღვრავს სახელმწიფოებისა და საზოგადოების უსაფრთხოების ერთ-ერთ მწვავე საფრთხეს. აღნიშნული საფრთხის ეფექტური წინააღმდეგობა კი მოითხოვს მისი მდგომარეობის მუდმივ კონტროლს, რათა დროულად გაანალიზდეს მისი განმსაზღვრელ მიზეზები.

1.4 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

ანტიტერორისტული კანონმდებლობის შემუშავების მიმართულებით, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და მიიღო შესაბამისი ნორმატიული აქტები, ასევე მოახდინა შესაბამისი ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ისევე როგორც ეროვნული კონცეპტუალური დოკუმენტები უსაფრთხოების სფეროში, მათ შორის, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და კანონი საქართველოს დაგეგმვისა და კოორდინაციის წესების შესახებ. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ (ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, 2007), არის მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. იგი განსაზღვრავს ტერორიზმის წინააღმდეგ

ბრძოლის ორგანიზაციის ფორმებს და იურიდიულ საფუძვლებს, აგრეთვე ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების კოორდინაციის წესებს, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ასოციაციების და მოქალაქეთა ჩართულობის საფუძვლებს, მათ უფლებებს, ვალდებულებები და მათი სოციალური უსაფრთხოების გარანტიები.

კანონი, რომელიც რამდენჯერმე შეიცვალა თანამედროვე გამოწვევების გამო, მნიშვნელოვანია, რადგან იგი განსაზღვრავს "ტერორიზმის" ტერმინებს, "ტერორისტული", "ტერორისტული აქტი", "ტერორისტული მიზანი", "ტერორისტული საქმიანობა", "საერთაშორისო ტერორიზმი", "ტერორისტული ჯგუფი" და "ტერორისტული ორგანიზაცია", საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. (ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, 2007)

აღსანიშნავია კანონის ის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ტერორიზმთან ბრძოლის ძირითად პრინციპებს, აგრეთვე სუბიექტებს, რომლებიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ.

აღსანიშნავია, რომ ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით, კოდექსში ძირითადი ცვლილებები შეიტანეს 2013-2015 წლებში. საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტების ძალაში შესვლის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ საქართველო გაეროს წევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც 2015 წელს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 2178 რეზოლუციის შესაბამისად, სრულად დაადასტურა ე.წ უცხოელი ტერორისტული მებრძოლების (FTF) მოგზაურობასთან დაკავშირებული საქმიანობა. (2014).

შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, კოდექსმა დაადგინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ან გადაკვეთის მცდელობისთვის ტერორისტული საქმიანობის

განხორციელების, მისი მომზადების ან ასეთ საქმიანობაში ან ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით.

საქართველოს მთავრობის დადგენილება ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზების წესისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სუბიექტის საქმიანობის კოორდინაციის წესის დამტკიცების შესახებ (მთავრობის დადგენილება №254, 2014), წარმოადგენს არსებული კანონმდებლობის მნიშვნელოვან ნაწილს ტერორიზმთან ბრძოლაში. იგი ავალდებულებს სუბიექტებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოებს, მიანოდონ ტერორიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, საქართველოს მთავრობის დადგენილება ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის ორგანიზაციის წესებისა და საქმიანობის დამტკიცების შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება , 2014) - აღსანიშნავია. იგი განსაზღვრავს ოპერატიული შტაბის საქმიანობას, რომელიც შეიქმნა მთავრობის ბრძანებით, ტერორისტული აქტის ჩახშობის მიზნით. ოპერატიული შტაბი, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ხელმძღვანელობს, არის ტერორისტულ საქმიანობაზე ერთობლივი რეაგირების მექანიზმი.

სისხლის სამართლის ზომების გარდა, ეროვნული კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ბრძანების გამოცემას ტერორიზმთან დაკავშირებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირების აქტივების გაყინვის შესახებ, ადმინისტრაციული სასამართლო წარმოების გზით, სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე. სასამართლოს ბრძანებით გათვალისწინებული ზომების აღსრულებას, კერძოდ, აქტივების გაყინვას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

ეს არის სახელმწიფოს ერთ – ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტერორისტებს აღარ ექნებათ პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური და სხვა მატერიალური დახმარება ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად.

1.5 ინსტიტუციური მექანიზმები

ქვეყნის ექსტრემისტული და ტერორისტული საფრთხეებისგან დაცვის მიზნით, საჭიროა საქართველოს სახელმწიფო უწყებების ერთობლივი ძალისხმევა. საქართველოს მთავრობა ახორციელებს ქვეყნის ექსტრემიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას და სხვადასხვა ძალისხმევით უზრუნველყოფს ამ ძალისხმევას, ხოლო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობენ შემდეგი სუბიექტები:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- თავდაცვის სამინისტრო;
- დაზვერვის სამსახური;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური და საქართველოს გენერალური პროკურატურა.

ასევე, სხვა საჯარო სააგენტოები და ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის ქვეყნის ექსტრემიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი სისტემის წამყვანი სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს

ტერორისტული დანაშაულების გამოვლენას, პრევენციასა და აღკვეთას სპეციალური და კრიმინალური დაზვერვის გამოყენებით.

სამსახური კოორდინაციას უწევს სუბიექტების საქმიანობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი სტრუქტურული ქვედანაყოფის კონტრტერორისტული ცენტრის საშუალებით.

ტერორისტული ქმედებებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში იქმნება დროებითი ორგანო - საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული სარდლობა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით. სარდლობის მთავარი მიზანი არის სპეციალური ღონისძიებების განხორციელება ტერორისტული დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ტერორისტების განეიტრალება და პრევენცია ან მინიმუმამდე შემცირება ტერორისტული აქტის ან / და ტერორისტული მიზნით განხორციელებული სხვა დანაშაულების შედეგად მოსალოდნელი შედეგები. (Argo, 2006)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც შესაძლოა პირველი რეაგირება მოახდინოს ტერორისტულ საქმიანობასა და დანაშაულზე.

სამინისტრო უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების და კანონისა და წესრიგის დაცვას, სახმელეთო საზღვრისა და საზღვაო სივრცის უსაფრთხოებას, აგრეთვე სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სახელმწიფო საზღვრისა და სასაზღვრო რეჟიმის დაცვას. განსაკუთრებით აღსანიშნავია შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიტიკის მიდგომები, რომელიც მიზნად ისახავს პროაქტიულ კომუნიკაციას და საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობას, მათ შორის, შესაძლო რადიკალიზაციის რისკების გამოვლენას.

ასევე მნიშვნელოვანია დაზვერვის პოლიტიკის მოდელის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზებული დანაშაულის მიმართ პროაქტიული მიდგომის, უწყებებს შორის ინფორმაციის ოპერატიული გაცვლის, ინფორმაციის მართვისა და ანალიზის ერთიანი სისტემის შემუშავებას, საფრთხეების და რისკების შეფასებას.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს საშიში ტვირთის სატრანსპორტო გზების შეთანხმებას, ფიზიკური დაცვის შესახებ დასკვნების მომზადებას ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის საჭირო ზომების განხორციელებას და საგანგებო სიტუაციებში საჭირო სამუშაოების ორგანიზებას. სიტუაციის ზონა.

სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ფუნქციები მნიშვნელოვანია როგორც პრევენციის, ასევე ბირთვული და რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეტაპზე. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს კომპეტენციის სფერო მოიცავს შემდეგს: ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის ლიცენზიებისა და ნებართვების მინიჭება, რადიაციული უსაფრთხოების შესრულების შემოწმება და კონტროლი.

ბირთვული და რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციების შემთხვევებზე რეაგირება - ინციდენტი, ბირთვული და რადიოაქტიური მასალების უკანონო ტრეფიკინგი, რადიაციული სიგნალიზაცია სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებში, ექსპერტიზის ჩატარება, შესაბამისი დასკვნების მომზადება, ასევე უსაფრთხო ტრანსპორტირება და განადგურება. ბირთვული ან / და რადიოაქტიური წყაროები, რომლებიც ზემოაღნიშნული შემთხვევების შედეგად ამოიღეს რადიოაქტიური ნარჩენების სათავსში, მისი ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფის პირობებში.

თავი 2. საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ

2.1. საერთაშორისო თანამშრომლობა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

ბოლო წლების მსოფლიო დღის წესრიგში ერთ-ერთი ყველაზე მწვავედ განხილული პრობლემა გახდა საერთაშორისო ტერორიზმის, რომელიც აგრეთვე სახელმწიფოთა და საერთაშორისო საზოგადოების საქმიანობას წარმოადგენს მასთან ბრძოლის მიზნით. საერთაშორისო ტერორიზმში იგულისხმება როგორც სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ქმედებების ჩადენა, ორგანიზება, გამართვა, დაფინანსება ან წახალისება, ან ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც მიმართულია ადამიანების ან საკუთრების წინააღმდეგ.

მათი ხასიათიდან გამომდინარე, უნდა წარმოშვას შიში სახელმწიფო მოხელეების, პირთა ჯგუფების ან ზოგადად მოსახლეობის დაშინების მიზნით. დღესდღეობით მოქმედებს საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი მოიცავს არაერთ საერთაშორისო აქტს, კერძოდ: ჰააგის 1970 წლის კონვენციას თვითმფრინავების უკანონო ჩამორთმევის აღკვეთის შესახებ; 1971 წლის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ; 1973 წლის კონვენცია საერთაშორისო დაცულ პირთა მიმართ დანაშაულის დასჯის აღკვეთის შესახებ, დიპლომატიური აგენტების ჩათვლით; 1979 წლის საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ; (მძევლების აყვანის წინააღმდეგ, 1979),

1999 წლის კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების და აღკვეთის შესახებ; (ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ, 2005) ბირთვული ტერორიზმისა და საერთაშორისო ხასიათის სხვა ნორმატიული აქტების აღკვეთის შესახებ 2005 წლის საერთაშორისო კონვენცია.

